უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარების სარდალს არმიის გენერალ ერემენკოს
ფრონტის შტაბის უფროსს გენერალ-პოლკოვნიკ სანდალოვს

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, დღეს, 3 მაისს დაიკავეს ქალაქი ცეშინი — გზების დიდმნიშვნელოვანი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი.

ქალაქ ცეშინის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ გრეჩკოს, გენერალ-პოლკოვნიკ მოსკალენკოს, გენერალ-ლეიტენანტ ბატიუნიას, გენერალ-ლეიტენანტ ვორობიოვის, გენერალ-ლეიტენანტ გორდეევის, გენერალ-ლეიტენანტ ბონდარევის, გენერალ-მაიორ შმიგოს, გენერალ-მაიორ ჟუკოვის, გენერალ-მაიორ სოლოვიოვის, გენერალ-მაიორ ბუშევის, პოლკოვნიკ შუბას, პოლკოვნიკ ტეტენკოს, პოლკოვნიკ მატუსევიჩის, გენერალ-მაიორ პარხომენკოს, გენერალ-მაიორ გრინჩენკოს, გენერალ-მაიორ კოლდუბოვის, პოლკოვნიკ ტომილოვსკის, პოლკოვნიკ ვასილიევის, პოლკოვნიკ გრეჩკოსის, პოლკოვნიკ ბერშევიჩის, პოლკოვნიკ ჩორნის, პოლკოვნიკ კავერინის, პოდპოლკოვნიკ ემენოვის, პოლკოვნიკ დრიახლოვის, პოლკოვნიკ გრიდინარენკოს, პოლკოვნიკ ვლასოვის, პოლკოვნიკ კუპცოვის, პოლკოვნიკ ვრუცკის, პოლკოვნიკ მიტოიანის, პოლკოვნიკ ვასილიევის, მაიორ მანუხოვის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ კარიოფილის, არტილერიის გენერალ-მაიორ ჟიბურკუსის, პოლკოვნიკ დავიდოვის, პოლკოვნიკ სმირნოვის, პოლკოვნიკ ბროზგოლის, პოლკოვნიკ ოხოტსკის, პოლკოვნიკ შევჩენკოს, პოლკოვნიკ ცივჩინსკის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ რემიზოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ რაიკინის, პოლკოვნიკ პახომოვის, პოდპოლკოვნიკ ვასილიევის, მაიორ შურიგინის, მაიორ ჟირნოვის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ჟდანოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ იზოტოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ კოტელნიკოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ გოლოვნიას, ავიაციის გენერალ-მაიორ ლაკეევის, პოლკოვნიკ ჩუკის, პოდპოლკოვნიკ ბუდინის, პოდპოლკოვნიკ შეპელსკის, პოდპოლკოვნიკ ხოლოდოვის, პოდპოლკოვნიკ ზოლოტოვის, მაიორ მურაშევის, მაიორ მარგოშინის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ კოლესნიკოვის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ გოვოროვის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ გორბაჩევის, ტექნიკური ჯარების გენერალ-მაიორ კუზნეცოვის, პოლკოვნიკ ვოლოდინის, პოლკოვნიკ საველიევის, მაიორ შჩერბაკოვის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ მატვეევის, პოლკოვნიკ ბელიანჩიკის, პოლკოვნიკ ტარუნინის, სახელმწიფო უშიშროების პოდპოლკოვნიკ კოროტკის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ ცეშინის დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 3 მაისს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ას ოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-4 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი ცეშინი.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ცეშინის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 3 მაისი. № 361.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
უმაღლესი მთავარსარდლისა
ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარების სარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ როკოსოვსკის
ფრონტის შტაბის უფროსს გენერალ-პოლკოვნიკ ბოგოლიუბოვს

ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას ავითარებენ, დაიკავეს ქალაქები ბარტი, ბად დობერანი, ნოიბუკოვი, ვარინი, ვიტენბერგე და დღეს, 3 მაისს ვისმარის, ვიტენბერგეს ხაზზე შეუერთდნენ ჩვენს მოკავშირე ინგლისელთა ჯარებს.

დასახელებული ქალაქების დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ ბატოვის, გენერალ-პოლკოვნიკ პოპოვის, გენერალ-პოლკოვნიკ გრიშინის, გენერალ-მაიორ ტეტეშკინის, გენერალ-ლეიტენანტ ბობკოვის, გენერალ-ლეიტენანტ კინოსიანის, გენერალ-ლეიტენანტ დრატვინის, გენერალ-ლეიტენანტ ჩანიშევის, გენერალ-ლეიტენანტ რიაბიშევის, გენერალ-ლეიტენანტ ალექსეევის, გენერალ-ლეიტენანტ ერასტოვის, გენერალ-ლეიტენანტ ჩუვაკოვის, გენერალ-ლეიტენანტ სმირნოვის, გენერალ-ლეიტენანტ ტერენტიევის, პოლკოვნიკ ბელიაევის, პოლკოვნიკ ტრუდოლიუბოვის, პოლკოვნიკ მურატოვის, პოლკოვნიკ კალაძის, გენერალ-მაიორ სოლოვიოვის, პოლკოვნიკ გოლუბევის, პოლკოვნიკ კარპელიუკის, გენერალ-მაიორ ტიმოფეევის, გენერალ-მაიორ კირსანოვის, გენერალ-მაიორ ჯანჯღავას, გენერალ-მაიორ ბორისოვის, გენერალ-მაიორ სკორობოგატკინის, გენერალ-მაიორ ტერემოვის, პოლკოვნიკ ველიჩკოს, პოლკოვნიკ აფანასიევის, გენერალ-მაიორ გრებენიკის, გენერალ-მაიორ მაკაროვის, პოლკოვნიკ ვარახინის, პოლკოვნიკ შეპელის, პოლკოვნიკ ჩეტვერტუხინის, პოლკოვნიკ გორიჩევის, გენერალ-მაიორ გუსევის, პოლკოვნიკ ოგიენკოს, გენერალ-მაიორ სუპრუნოვის, პოლკოვნიკ მელდერის, პოლკოვნიკ ემელიანენკოს, გენერალ-მაიორ კრასნოშტანოვის ჯარებმა; გენერალ-ლეიტენანტ ოსლიკოვსკის, გენერალ-მაიორ ჩეპურკინის, გენერალ-მაიორ ბრიკელის, გენერალ-მაიორ კალიუჟნის კავალერისტებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ სოკოლსკის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ დეგტიარევის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ ბესკინის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ მიხელსონის, არტილერიის გენერალ-მაიორ რაზინცევის, არტილერიის გენერალ-მაიორ პიადუსოვის, პოლკოვნიკ ლეონოვის, პოლკოვნიკ ზახაროვის, არტილერიის გენერალ-მაიორ როგოზინის, არტილერიის გენერალ-მაიორ კოლესოვის, პოლკოვნიკ რიბკინის, პოლკოვნიკ ვასილენკოს, პოლკოვნიკ კილეევის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ჩერნიავსკის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ პანოვის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ პანფილოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ფირსოვიჩის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ პეტრუშინის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ნოვაკის, პოლკოვნიკ იუდინის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ შულგინის, პოდპოლკოვნიკ პეტროვის, პოლკოვნიკ კონოვალოვის, პოლკოვნიკ იგონინის, პოლკოვნიკ პარამონოვის, პოდპოლკოვნიკ ეგოროვის, პოლკოვნიკ ურვანოვის, პოდპოლკოვნიკ კუცის, პოდპოლკოვნიკ დიაჩუკის, პოლკოვნიკ ლომაკოს, პოლკოვნიკ გორბენკოს, პოდპოლკოვნიკ რაზინის, პოლკოვნიკ იურევიჩის, პოდპოლკოვნიკ რაზუვალოვის, პოდპოლკოვნიკ იგნატოვის, პოდპოლკოვნიკ გაიდაენკოს, პოდპოლკოვნიკ არტიუშინის, მაიორ მოსკალენკოს, პოდპოლკოვნიკ შევჩენკოს ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ ვერშინინის, ავიაციის გენერალ-მაიორ ალექსეევის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ბაიდუკოვის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ოსიპენკოს, ავიაციის გენერალ-მაიორ გეტმანის, პოლკოვნიკ ვოლკოვის, პოლკოვნიკ დოდონოვის, პოლკოვნიკ ვუსის, პოლკოვნიკ იაკუშინის, პოლკოვნიკ რიბაკოვის, პოლკოვნიკ სმოლოვიკის, პოლკოვნიკ კალუგინის, პოლკოვნიკ ტიხომიროვის, პოლკოვნიკ გრიშჩენკოს, პოლკოვნიკ პოკაევოის, პოდპოლკოვნიკ ბერშანსკაიას მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბლაგოსლავოვის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ვიტვინინის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ შვიდკოის, პოლკოვნიკ ტრეტიაკოვის, პოლკოვნიკ დობიჩინის, პოლკოვნიკ ვინკოვის, პოლკოვნიკ მიროტვორსკის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბორზოვის, პოდპოლკოვნიკ პროცეროვის, პოდპოლკოვნიკ იურკოვის, პოლკოვნიკ ბორისოვის, კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ ნოვარჩუკის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქების ბარტის, ბად დობერანის, ნოიბუკოვის, ვარინის, ვიტენბერგეს დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 3 მაისს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ას ოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ბელორუსიის მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს დასახელებული ქალაქები.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ დასახელებული ქალაქების დაკავებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 3 მაისი. № 360.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
აკადემიკოს პეტრე ლეონიდეს-ძე კაპიცასთვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

ჟანგბადის მიღების ახალი ტურბინული მეთოდის წარმატებითი მეცნიერული შემუშავებისათვის და თხევადი ჟანგბადის დასამზადებლად მძლავრი ტურბო-ჟანგბადის დანადგარის შექმნისათვის აკადემიკოს პეტრე ლეონიდეს-ძე კაპიცას მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1945 წლის 30 აპრილი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ამხ. ნ. ა. გიორგაძის საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ამხ. ნესტორ ალექსის-ძე გიორგაძე საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. სტურუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის დროებითი ამსრულებელი ა. ჯორბენაძე

1945 წ. 3 მაისი, ქ. თბილისი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ამხ. ს. ე. არობელიძის საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. სევერიან ესეს-ძე არობელიძე საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. სტურუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის დროებითი ამსრულებელი ა. ჯორბენაძე

1945 წ. 3 მაისი, ქ. თბილისი.

ვ. მ. მოლოტოვის გამოსვლა
გაერთიანებული ერების კონფერენციის პლენარულ სხდომაზე 1945 წ. 30 აპრილს

სან-ფრანცისკო, 30 აპრილი. (საქდესის სპეც. კორ.). ამხ. ვ. მ. მოლოტოვი 30 აპრილს გამოვიდა გაერთიანებული ერების კონფერენციის პლენარულ სხდომაზე და განაცხადა:

„ბატონო თავმჯდომარევ, ბატონებო!

საბჭოთა დელეგაცია მნიშვნელოვან საკითხად სთვლის საკითხს არგენტინის შესახებ, ამ კონფერენციაზე არგენტინის მოწვევის შესახებ...

...მთავრობას მტკიცე დასაყრდენი აქვს თავის ხალხში და ჩვენს მოკავშირეებთან ერთად ბრძოლას აწარმოებს ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ. ჩვენ გვახსოვს აგრეთვე ის, რომ სამმა მთავრობამ — ამერიკის, ბრიტანეთისა და საბჭოთა მთავრობებმა—იკისრეს ამოცანა—დაეხმარონ ამ მთავრობის რეორგანიზაციის საქმეს უფრო ფართო დემოკრატიულ ბაზაზე. მე ეჭვი არ მეპარება, რომ ეს საუკეთესო...

...ზე არგენტინის მოწვევა, რომელიც მთელი ამ ომის განმავლობაში ეხმარებოდა ჩვენს საერთო მტერს, და პოლონეთის დროებითი მთავრობის მოუწვევლობა, რომელიც ახლა მოქმედებს პოლონეთის განთავისუფლებულ ტერიტორიაზე და უდიდესი ავტორიტეტი აქვს პოლონელ ხალხში, — ეს იქნება იმ გზით სიარული, რომელსაც შეუძლია ცუდად იმოქმედოს ამ კონფერენციის ავტორიტეტზე. (ტაში). არავის არ შეუძლია იმის უარყოფა, რომ პოლონეთის მთავრობა დემოკრატიულ მთავრობას წარმოადგენს. პოლონეთის ამ დროებითს

...ერთობლივად მოვეკიდოთ ყოველ ახალ წინადადებას, რომელიც აქამდე არასაკმაოდ იყო შესწავლილი რომელიმე ჩვენგანის მიერ. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორი იქნებოდა, რათა არგენტინის საკითხიც ამნაირად გადაწყვეტილიყო, და არა რაღაც აჩქარებული წესით. (ტაში).

საბჭოთა დელეგაციის წინადადებანი იმაში მდგომარეობს, რათა ამ კონფერენციაზე არგენტინის მოწვევის საკითხის განხილვა რამდენიმე დღით გადაიდოს შესწავლისათვის.

მხოლოდ ამას თხოულობს საბჭოთა დელეგაცია". (მქუხარე ტაში).

გაერთიანებული ერების კონფერენციაზე სან-ფრანცისკოში

სან-ფრანცისკო, 30 აპრილი. (საქდესის სპეც. კორ.). 30 აპრილს დილით შესდგა აღმასრულებელი და ხელმძღვანელი კომიტეტ...

...კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად. სტეტინიუსმა განაცხადა აგრეთვე, რომ ორივე კომიტეტმა გადასწყვიტა მოიწვიონ არგენ...

...ლი კომიტეტი, რომელიც 14 წევრისაგან შესდგება. შეიკრიბა დილის 9 საათზე სან-ფრანცისკოს დროით. ხელმძღვანელი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში ყველა 46 დელეგაციის მეთაურები შედიან, შეიკრიბა დილის 10 საათსა და 30 წუთზე.

სან-ფრანცისკო, 30 აპრილი. (საქდესის სპეც. კორ.). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა სტეტინიუსმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების კონფერენციის აღმასრულებელმა და ხელმძღვანელმა კომიტეტებმა სან-ფრანცისკოში ერთსულოვნად მოიწონეს წინადადება — მოწვეულ იქნან უკრაინისა და ბელორუსიის რესპუბლიკები სან-ფრანცისკოს

...სხდომამ 30 აპრილს საღამოს უნდა განიხილოს კომიტეტების გადაწყვეტილებანი.

სან-ფრანცისკო, 30 აპრილი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს საღამოს (1 მაისს ღამით მოსკოვის დროით) გაიხსნა გაერთიანებული ერების სან-ფრანცისკოს კონფერენციის მეხუთე პლენარული სხდომა, თავმჯდომარეობს ა. იდენი. სხდომამ მოიწონა ხელმძღვანელი კომიტეტის რეკომენდაცია უკრაინისა და ბელორუსიისათვის, მოწვევის სასწრაფოდ ჯაგზავნის შესახებ — მონაწილეობა მიიღონ სან-ფრანცისკოს კონფერენციაში.

შემდეგ პლენარული სხდომა გადადის არგენტინის მოწვევის შესახებ საკითხის განხილვაზე.

გერმანიის რადიო ჰიტლერის შესახებ

პირველ მაისს გვიან საღამოს გერმანიის...

...უთანხმოება გამოიწვიის ანტიჰიტლერული...

საპირველმაისო პარადი და პიონერთა დემონსტრაცია თბილისში. ტრიბუნაზე: ამხ. კ. ჩარკვიანი, არმიის გენერალი ვ. ტიულენევი, ამხ. ა. რაფავა, ა. თოფურიძე, ვ. ბუჯიაშვილი და სხვ.

ფოტო რ. აკოფოვისა

პირველი მაისი წითელ მოედანზე

ზეიმითა და სიხარულით იდღესასწაულეს საბჭოთა კავშირის ხალხებმა პირველი მაისი — ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლ მშრომელთა საბრძოლო ძალების დათვალიერების დღე. ეს იყო სამხედრო და შრომითი გამარჯვებ...

...ვაკიისა და ავსტრიის მიწა-წყალზე წარმოებული დიდი ბრძოლების მონაწილენი... აქ არიან საბჭოთა ინტელიგენციის გამოჩენილი მოღვაწენი — სოციალისტური შრომის გმირები, მეცნიერები და კონსტრუქტორები,

...ვებებს უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი პარტიის, ჩვენი მთავრობის სწორ ხელმძღვანელობას.

ამხანაგებო!

ჰიტლერელი ავაზაკების მიერ გაჩაღებული მსოფლიო ომი ევროპაში დასასრულს უახ...

...გერმანიაზე სრული და საბოლოო გამარჯვებისაკენ!

გაუმარჯოს მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს—პირველ მაისს!

გაუმარჯოს მძლავრ საბჭოთა ხალხს!

...თაც იქნება წითელი არმიისათვის საჭირო მრისხანე იარაღი. სტუმრებს შორის არიან სახელმოხვეჭილი საბჭოთა ფეხბურთელები, საბჭოთა კავშირის გმირები, ვოლგასა და დნეპრზე, ვისლასა და ოდერზე, პოლონეთის, ჩეხოსლო...

შემოვლა დამთავრდა. ამხ. ანტონოვი ადის მავზოლეუმის ტრიბუნაზე. ოცი მედაფდაფე აცხადებს: „ისმინეთ ყველამ!" გენერალური შტაბის უფროსი სიტყვით მიმართავს ჯარებსა და საბჭოთა ხალხს.

გენერალური შტაბის უფროსის არმიის გენერალ ა. ი. ანტონოვის სიტყვა წითელ მოედანზე 1945 წლის 1 მაისს

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჟანტებო და ზემდეგებო, არმიისა და ფლოტის ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო! საბჭოთა კავშირის მშრომელნო!

საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი ბოლშევიკური პარტიის სახელით და დავალებით მოგესალმებით და მოგილოცავთ მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს — პირველ მაისს!

საბჭოთა ხალხი და წითელი არმია დიდი სამამულო ომის განმავლობაში პირველად...

...ტორიაზე შევიდნენ და გაათავისუფლეს ავსტრიის დედაქალაქი — ვენა.

ჰიტლერელთა წინააღმდეგ წითელი არმიის მხარდამხარ მამაცურად იბრძვიან პოლონეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთისა და რუმინეთის ჯარები.

წითელი არმია მიზნად არ ისახავს სხვისი მიწების დაპყრობას და სხვა ხალხების, მათ შორის არც გერმანელი ხალხის დამონებას. აი რატომ არის, რომ მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები...

...ცივილიზაცია, ხოლო ევროპა ბარბაროსების ...ადგენისაგან. ...დამპყრობთაგან ...ვარი ჩეხოსლოვ... უნგრეთიდან. ...სტრიის ტერი...

...უზრუნველყოფენ ფრონტს ყოველივე იმით, რაც საჭიროა მტრის სრული განადგურებისათვის.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ გაფთრებულ ბრძოლებში ჩვენმა დიდმა საბჭოთა სახელმწიფომ ყველა განსაცდელს გაუძლო, გამოიწრთო და კიდევ უფრო მძლავრი გახდა.

ფრონტზე და ზურგში ჩვენს დიდ გამარჯ...

...გაისმის ტაშის გრიალი: მოედანზე შემოდის სუვოროვის სასწავლებლის მოსწავლეთა ორი ბატალიონი. საუცხოო მწყობრით ჩაიარეს ნორჩმა სუვოროველებმა, წითელი არმიის მომავალმა ოფიცრებმა, ჩვენმა მომავალმა დიდებამ. ბევრმა მათგანმა მიუხედავად ნორჩი ასაკისა, უკვე გამოიარა ომის მკაცრი სკოლა. ისინი მამებთან და ძმებთან ერთად მონაწილეობდნენ პარტიზანულ ბრძოლაში,

...ბას მის საკუთარ ბინაში.

ასობით თვითმფრინავმა მიიღო მონაწილეობა ახლანდელ საპირველმაისო პარადში.

1945 წლის საპირველმაისო პარადი დიდებული, დაუვიწყარი სანახაობაა. ეს არის დიდი სტალინის წინამძღოლობით ჩვენი ქვეყნის მიერ მოპოვებულ ბრწყინვალე მიღწევათა პარადი, ეს არის მოახლოებული მომავალი გამარჯვების პარადი!

გამარჯვების ზეიმი საქართველოს დედაქალაქში

...განსაკუთრებით ...დედაქალაქი ...ური წითელი ...ბებმა, ბერლინ... ომის აფრიალე... გრძნობით აავსო ...გული. ...ამშვენებენ ...ბელადის —

...ახლოვდება პარადის დაწყების დრო. მთავრობის ტრიბუნაზე არიან ამხანაგები — კ. ჩარკვიანი, ა. რაფავა, ვ. ბუჯიაშვილი, ა. თოფურიძე, ზ. ჩხუბიანიშვილი, მ. ჯაში, გ. ზამბახიძე, გ. გოჩაშვილი, ე. ჩერქეზია, მ. ჩუბინიძე, ვ. გოგუა, ი. კოჩლამაზაშვილი, ვ. ხატიაშვილი, მ. ბალავაძე, ბ. კიკნაძე, აკადემიკოსები—ნ. კეცხოველი და ა. ჯანელიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი...

...გაისმა მქუხარე „ურა" მოედნის ყოველი მხრიდან. „ვაშასა" და „ურას" ძახილი დაჰფარა საპირველმაისო საარტილერიო სალუტის პირველი ზალპის გრგვინვამ. ამაყად ფრიალებდნენ მაღლა წითელი დროშები. ისმოდა მებრძოლთა მწყობრი საზეიმო შეძახილი და ჰქუხდა საარტილერიო სროლის ხმა.

დაიწყო პარადის მონაწილეთა საზეიმო მარ...

...ვიდნენ მოედანზე და ახალი სიხალისე, ახალი სიხარული შემოიტანეს. ერთი მეორეზე უფრო ლამაზად, უფრო შეწყობილად გაიარეს ქალაქის ყველა რაიონის პიონერთა რიგებმა. მთავრობის ტრიბუნიდან მიესალმებოდნენ ჩვენი ქვეყნის მომავალ თაობას, საბჭოთა სამშობლოს სიყვარულისა და ზრუნვის საგანს—ჩვენს ბავშვებს.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

1 მაისის ოპერატიული ცნობა

1 მაისის განმავლობაში ქალაქ და ნავსადგურ პილაუს სამხრეთ-დასავლეთით ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგისაგან ფრიშ ნერუნგის ისარას გასაწმენდად და დაიკავეს დასახლებული პუნქტები ნარმელნი, ბრანდჰაიდერი, ნოიკრუგი და ფოგლერსი.

ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც სწრაფ შეტევას ავითარებენ, 1 მაისს დაიკავეს ქალაქები შტრალზუნდი, გრიმენი, დემინი, მალხინი, ვარენი, ვეზენბერგი — გზების დიდმნიშვნელოვანი კვანძები და გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტები, აგრეთვე დაიკავეს დიდი დასახლებული პუნქტები შტაინჰაგენი, აბტსჰაგენი, გრემერსდორფი, დაიელსდორფი, გნოიენი, დარგუნი, ნოიკალენი, შტავენჰაგენი, გილოვი, შვინკენდორფი, მელენჰაგენი, კრატცებურგი, კვალცოვი, შტრაზენი. 30 აპრილის ბრძოლებში ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 8.500 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდეს 66 თვითმფრინავი და 100 საველე ქვემეხი.

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა 1 მაისს იერიშით დაიკავეს ქალაქი ბრანდენბურგი — ბრანდენბურგის პროვინციის ცენტრი და გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი ცენტრალურ გერმანიაში. ამავე დროს ბერლინის ჩრდილო-დასავლეთით ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, ბრძოლებით დაიკავეს ქალაქი ლინდოვი და დიდი დასახლებული პუნქტები ალტ-რუპინი, ჰერცბერგი, ვუტენოვი, ლიხტენბერგი, კარვე, ბეეტცი, ზომერფელდი. ბერლინში ფრონტის ჯარებმა მოწინააღმდეგისაგან გასწმინდეს ქალაქის რაიონები შარლოტენბურგი, შენებერგი და ქალაქის ცენტრალურ ნაწილში დაიკავეს 100-ზე მეტი უბანი. 30 აპრილის ბრძოლებში ფრონტის ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს 14.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ბერლინის სამხრეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ ქალაქ ლუკენვალდეს აღმოსავლეთით მდებარე ტყეებში გერმანელთა ჯარების გარშემორტყმული ჯგუფის ნაშთების მოსასპობად. ბრძოლების მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა გაჰკვეთეს მოწინააღმდეგე ორ ...

...ლასკი, კლობუცკი, სლავიჩინი, ლუბარტოვიცე, ბრჟაზუვკი, უზერსკი ზრადიშტეფი, ნაპაჟედლა.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

1 მაისს დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 87 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 10 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ავიაციის თავდასხმები სვინემიუნდეზე

1 მაისს ღამით ჩვენმა მძიმე ბომბდამშენებმა დაარტყეს გერმანელთა სამხედრო ობიექტებს სვინემიუნდეში. ამ დარტყმის შედეგად ქალაქის ტერიტორიაზე და ნავსადგურში ბევრი ხანძარი გაჩნდა, რომლებსაც თან ახლდა ძლიერი აფეთქებანი.

2 მაისის ოპერატიული ცნობა

3 მაისის ოპერატიული ცნობა

3 მაისის განმავლობაში ქალაქ და ნავსადგურ პილაუს სამხრეთ-დასავლეთით ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგისაგან ფრიშ ნერუნგის ისარას გასაწმენდად და დაიკავეს დასახლებული პუნქტები კალბერგ ლიპი, კაიზერჰოფი.

ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას ავითარებენ, დაიკავეს ქალაქები ბარტი, ბად დობერანი, ნოიბუკოვი, ვარინი, ვიტენბერგე და 3 მაისს ვისმარის, ვიტენბერგეს ხაზზე შეუერთდნენ ჩვენს მოკავშირე ინგლისელთა ჯარებს. ფრონტის ჯარებმა დაიკავეს აგრეთვე დიდი დასახლებული პუნქტები კრეპელინი, ნოი კლოსტე, ბიუტცოვი, ბიუსტროვი, გოლდბერგი, კაროვი, მაიენბურგი, პუტლიტცი, პრიტცვალკი და პერლებერგი. 2 მაისის ბრძოლებში ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 10.600 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდეს 328 თვითმფრინავი. ტყვეთა შორის არის შრომითი ბეგარის საქმეთა შტეტინის მე-5 ოლქის სარდალი გენერალ-მაიორი მატო.

ბერლინის ჩრდილო-დასავლეთით ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, ბრძოლებით დაიკავეს დიდი დასახლებული პუნქტები ვილსნაკი, გლევენი, შტიუდენიტცი, ნიტცოვი, ველგასტი, შტროდენე, რინოვი, შპატცი, კოენ-ნაუენი, მიადგნენ მდინარე ელბას ქალაქ ვიტენბერგეს სამხრეთ-აღმოსავლეთით და შეუერთდნენ ჩვენს მოკავშირე ამერიკელთა ჯარებს.

2 მაისს 21 საათის შემდეგ ბერლინში ფრონტის ჯარებმა დამატებით წამოიყვანეს ტყვედ 20.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, გარდა ამისა, ჰოსპიტლებში ტყვედ წამოყვანილია 10.700 დაჭრილი გერმანელი ჯარისკაცი. სულ ბერლინში 2 მაისს ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 100.700 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ტყვეთა შორის არიან სახმელეთო სამთავრობო ესკადრის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი ბაური, ბერლინის პოლიციის სამედიცინო სამსახურის უფროსი სამედიცინო სამსახურის გენერალ-მაიორი ვრუბელი, პოლიციის გენერალ-ლეიტენანტი რატენგუბერი, გებელსის კანცელარიის ...

გამარჯვების დროშა ფრიალებს ბერლინში!

საქართველოს მშრომელები მხურვალე სალამს უძღვნიან გენიალურ მხედართმთავარს დიდ სტალინს და სახელოვან საბჭოთა მეომრებს, რომლებმაც ბერლინი დაიპყრეს!

სტალინური სტრატეგიის ტრიუმფი

საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში შესდგა მიტინგი, მიძღვნილი ძლევამოსილი საბჭოთა ჯარების ისტორიული გამარჯვებებისადმი.

მიტინგი გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა.

უმაღლესი მთავარსარდლის საპირველმაისო ბრძანება და 2 მაისის ბრძანება ჩვენი ჯარების მიერ ბერლინის დაკავების შესახებ წაიკითხა ისტორიის ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ნ. მახარაძემ.

სიტყვით გამოვიდა აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა, რომელმაც ილაპარაკა წითელი არმიის მიერ ბერლინის დაკავების უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობაზე.

— გერმანული ფაშიზმი,—სთქვა მან,—სიკვდილის პირას არის მისული. წითელმა არმიამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ფაშისტ მხეცს. ბერლინის აღება სტალინური სტრატეგიისა და სტალინური პოლიტიკის ტრიუმფია.

სიტყვით გამოვიდა ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ მუშაკი ს. ჟღენტი. მან აღნიშნა, რომ ამჟამად თავისუფლებისმოყვარე ხალხები მტკიცედ არიან დარაზმულნი პირსისხლიანი გერმანული ფაშიზმის მოსასპობად.

აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა თავის სიტყვაში გამოსთქვა, რომ ჩვენი ქართველი მეცნიერები, აღფრთოვანებულნი უდიდესი ისტორიული გამარჯვებებით, კიდევ უფრო მეტი ინტენსიობითა და ენერგიით იმუშავებენ ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

სამართლიანმა საქმემ გაიმარჯვა

ქუთაისელთა პატრიოტული საქმეები

გაერთიანებული ერების სან-ფრანცისკოს კონფერენციის მეხუთე პლენარული სხდომა

მარშალ სტალინის სახელი ეწოდა კრაკოვის ცენტრალურ ქუჩას

ვარშავა, 2 მაისი. (საკდესი). კრაკოვის საქალაქო რადა ნაროდოვამ დაადგინა მარშალ სტალინის სახელი ეწოდოს ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას.

ფელდმარშალ ფონ რუნდშტედტის დატყვევება

ლონდონი, 2 მაისი. (საკდესი). მე-7 არმიასთან მყოფი რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ ჰოსპიტალში 25 მილზე მიუნხენის სამხრეთით აღმოჩნდა დასავლეთის ფრონტზე მოქმედი გერმანელთა შეიარაღებული ძალების ყოფილი მთავარსარდალი ფელდმარშალი ფონ რუნდშტედტი.

ომი წყნარ ოკეანეში

ინგლისის ჯარები რანგუნში შევიდნენ

ლონდონი, 3 მაისი. (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ინგლისის ჯარები ბირმის დედაქალაქ რანგუნში შევიდნენ. ამას წინ უძღოდა საჰაერო და საზღვაო დესანტების გადასხმა მდინარე რანგუნის ორივე ნაპირზე, 40 კილომეტრზე დედაქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ავსტრალიის ჯარები ამერიკისა და ავსტრალიის ფლოტისა და ავიაციის დახმარებით გადასხდნენ კუნძულ ტარაკანზე, კუნძულ ბორნეოს ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსთან.

ვაშინგტონი, 3 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრო იუწყება, რომ 3 მაისს ამერიკის „მფრინავი ციხის" მარკის ხუთასამდე ბომბდამშენმა, რომლებსაც ბაზები მარიანის კუნძულებზე აქვთ, თავს დაესხნენ კუნძულ კიუსიუს (იაპონია).

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 1 მაისი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ მოკავშირეებმა დაიკავეს ფრიდრიხსჰაფენი. ტერიტორია, რომელიც მოკავშირეებს უჭირავთ ავსტრიაში, შეიცავს 32 კილომეტრს სიგანით და საშუალოდ 8 კილომეტრს სიღრმით. მოკავშირეებმა წინ წაიწიეს 16 კილომეტრით მდინარე ილერს გაღმა, ვანგენის დასავლეთით.

გერმანელთა ყოველგვარი ორგანიზებული წინააღმდეგობა მიუნხენში და მდინარე იზარის დასავლეთით შეწყდა. ამრიგად, გაწმენდილია ქალაქის ტერიტორიის სამ მეოთხედზე მეტი. მოწინააღმდეგე ყველა სნაიპერი მოსპობილია.

მოკავშირეთა ნაწილებმა გადასჭრეს ჩეხოსლოვაკიის საზღვარი კიდევ ერთ პუნქტში ხამის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ფრონტის ჩრდილოეთ უბანზე მოკავშირეთა ჯარებმა მიაღწიეს ბრემენვერდეს გარეუბნებს ბრემენსა და ჰამბურგს შუა მდებარე ნახევარკუნძულზე.

გერმანიის ჯარების კაპიტულაცია ჩრდილოეთ იტალიაში

ლონდონი, 2 მაისი. (საკდესი). როგორც ლონდონის რადიო გადმოგვცემს, საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბმა გამოაცხადა გერმანიის ჯარების კაპიტულაციის შესახებ ჩრდილოეთ იტალიაში. შეთანხმება კაპიტულაციის შესახებ ხელმოწერილ იქნა 29 აპრილს და ძალაში შევიდა 2 მაისის დილით. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ტრუმენმა ფელდმარშალ ალექსანდერს და გენერალ კლარკს მილოცვა გაუგზავნა ამას გამო.

ლონდონის რადიოს სხვა ცნობაში ნათქვამია, რომ დღეს პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა იუწყა თემთა პალატას გერმანიის ჯარების კაპიტულაციის შესახებ იტალიაში, რაც, მისი სიტყვით, „შეიძლება უდრიდეს სასარგებლო აღმოჩნდეს შემდგომი ოპერაციებისათვის". ჩერჩილმა სათანადოდ შეაფასა მოკავშირეთა ჯარები იტალიაში.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91,800 უე 00302